დასკვნა

შპს ,,ხაკო"-ის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ გამარტივებული შესყიდვის წესით 2017 წლის 19 დეკემბერს გაფორმებული N250 ხელშეკრულების შესაბამისად სამუშაოების მიღება-ჩაბარებისა და შესაბამისი ანაზღაურების შესახებ.

ქ. წყალტუბო 22.01.2018 წ.

მესამე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა, გია სილაგაძემ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახურის 2018 წლის 15 იანვრის N196/31 წერილის შესაბამისად, განვიხილე მასალები შპს ,,ხაკო"-ს მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ გამარტივებული შესყიდვის წესით 2017 წლის 19 დეკემბერს გაფორმებული N250 ხელშეკრულების თანახმად, სამუშაოების დასრულებისა და შესაბამისი ანაზღაურების შესახებ. ხსენებული მასალებისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში არსებული დოკუმენტაციის შესწავლით გამოირკვა შემდეგი:

2017 წლის 19 დეკემბერს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს ,,ხაკო"-ს შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გამარტივებული შესყიდვის წესით №250 ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მუხიანის ადმინისტრაციულ ერთეულში, სადგურ ბრონეულას დასახლებაში წყალ-საკანალიზაციო საქაჩ სადგურში ელექტროძრავის შეკეთების სამუშაოების შესყიდვას. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 900 (ცხრაასი) ლარს. სამუშაოების დასრულების ვადა განისაზღვრა 2017 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი.

2017 წლის 25 დეკემბერს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიას წერილობით მიმართა შპს ,,ხაკო"-ს დირექტორმა, რომელშიც ითხოვს მის მიერ 2017 წლის 19 დეკემბრის N250 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მიღება-ჩაბარებას და შესაბამის ანაზღაურებას. სამუშაოების დასრულებას ადასტურებს მერიის ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახურის ინსპექტირების ჯგუფის აქტი. მის მიერ ასევე წარმოდგენილი იქნა შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

2017 წლის 28 დეკემბერს, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების პირობების შესრულებაზე კონტროლის განხორციელების და შესყიდვის ობიექტის მიღების მიზნით შექმნილი ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახურის თანამშრომელთა ჯგუფის N237 სხდომის ოქმის საფუძველზე, გაფორმებული იქნა N250 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი შპს ,,ხაკო"-ს და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 10 თებერვლის N31

204 ბრძანებით (ცვლილება N31 1833. (06.12.2017)) შექმნილ მიღება-ჩაბარების კომისიას შორის, **თანხით 900 (ცხრაასი) ლარი.**

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვიხელმძღვანელე რა გამგეობის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის დებულების მე-2 მუხლის "ზ" ქვეპუნქტით, შესამოწმებელი მასალა იძლევა საშუალებას მომზადდეს შემდეგი სახის დასკვნა:

2017 წლის 28 დეკემბერს, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების პირობების შესრულებაზე კონტროლის განხორციელებისა და შესყიდვის ობიექტის მიღების მიზნით შექმნილ ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის თანამშრომელთა ჯგუფის №237 სხდომის ოქმის საფუძველზე, შპს „ხაკო"-ს და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 10 თებერვლის №31 204 ბრძანებით (ცვლილება №31 1833 06.12.2017) შექმნილ ჯგუფს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი შესაბამისობაშია 2017 წლის 19 დეკემბრის №250 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შესრულებული სამუშაოების ღირებულება, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით შეადგენს **900 (ცხრაასი) ლარს.**

მესამე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის
შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გია სილაგაძე

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების პირობების შესრულებაზე კონტროლის განხორციელების და შესყიდვის ობიექტის მიღების მიზნით შექმნილი ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახურის თანამშრომელთა ჯგუფის

სხდომის ოქმი №237

ქ. წყალტუბო 28.12. 2017 წელი

სხდომას ესწრებოდა - ჯგუფის უფროსი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ზურაბ მაისურაძე; ჯგუფის წევრები: მეორე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის- ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსის მ.შ იონა ჯოჯუა; მესამე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტები: ზურაბ მურვანიძე და რევაზ მხეიძე; მესამე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი:კობა გოგიძე ჯგუფის (მდივანი) და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შრომითი ხელშეკრულების დასაქმებული პირი-კონსულტანტი ინფრასტრუქტური სამსახურში მამუკა გელენიძე.

დღის წესრიგი -

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ხაკო"-ს შორის 2017 წლის 19 დეკემბრის №250 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს მიღება - ჩაბარების შესახებ.

მოისმინეს

მესამე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის კობა გოგიძის მოხსენება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ხაკო"-ს შორის 2017 წლის 19 დეკემბრის №250 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს მიღება - ჩაბარების შესახებ.

კერძოდ აღნიშნავს 2017 წლის 26 დეკემბრის №10322 წერილით მოგვმართა მიმწოდებელმა და ითხოვს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მუხიანის ადმინისტრაციულ ერთეული, სადგურ ბროწეულას

დასახლებაში წყალ-საკანალიზაციო საქაჩ სადგურში ელექტრომრავის შეკეთების სამუშაოს მიღება-ჩაბარებას.

აზრი გამოთქვა ჯგუფის წევრებმა იონა ჯოჯუამ და მამუკა გელენიძემ აღნიშნეს, რომ სამუშაოები შესრულებულია ხელშეკრულების პირობების თანახმად და მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოხდეს მიღება- ჩაბარება.

ჯგუფმა ყველა წევრის მხარდაჭერით მიიღო გადაწყვეტილება და დაადგინეს:

მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოხდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ხაკოს"-ს შორის 2017 წლის 19 დეკემბრის №250 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს მიღება - ჩაბარება და შედგეს მიღება - ჩაბარების აქტი.

ჯგუფის უფროსი: ზურაბ მაისურაძე

ჯგუფის წევრები: იონა ჯოჯუა

რევაზ მხეიძე

ზურაბ მურვანიძე

მამუკა გელენიძე

სხდომის მდივანი: კობა გოგიძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხიანის ადმინისტრაციულ ერთეულში, სადგურ ბროწეულას დასახლებაში წყალ-საკანალიზაციო საქაჩ სადგურში ელექტროძრავის შეკეთების მომსახურების სამუშაოების

მიღება-ჩაბარების

აქტი

ქ. წყალტუბო 28 12 2017 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერებმა ერთის მხრივ შ პ ს „ხაკო“ -ს დირექტორის კობა ხაჭაპურიძის და მეორეს მხრივ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 10 თებერვლის №31204 ბრძანებით, (ცვლილება № 31 1833 6/12/2017) შექმნილმა ჯგუფმა, შემადგენლობით: ზურაბ მაისურაძემ, იონა ჯოჯუამ, ზურაბ მურვანიძემ, რევაზ მხეიძემ, მამუკა გელენიძემ და კობა გოგიძემ, მოვახდინეთ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობასა და შ პ ს „ხაკო“ - ს შორის, 2017 წლის 19 დეკემბრის №250 ხელშეკრულებით გათვალისწინებული, **წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხიანის ადმინისტრაციულ ერთეულში, სადგურ ბროწეულას დასახლებაში წყალ-საკანალიზაციო საქაჩ სადგურში ელექტროძრავის შეკეთების მომსახურების სამუშაოების** მიღება-ჩაბარება **ღირებულებით 900 (ცხრაასი) ლარი**

მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია თანაბარი ძალის ორ ეგზემპლიარად, ერთი გადაეცემა შ პ ს „ ხაკო “ - ს ხოლო მეორე რჩება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში.

ჩააბარა:
შ პ ს „ ხაკო“ - ს
დირექტორი კ.ხაჭაპურიძე

ჩაიბარა:

ჯგუფი
შემადგენლობით

ზ.მაისურაძე (ჯგუფის უფროსი)

ი.ჯოჯუა

ზ.მურვანიძე

რ.მხეიძე

მ.გელენიძე

კ.გოგიძე (მდივანი)